ირაკლი ღარიბაშვილმა მერობის კანდიდატად ოზურგეთში ავთანდილ თალაკვაძე წარადგინა

ალიონი. 19 აგვისტოს , სოფელ დვაბზუში, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** პარტია ,,ქართული ოცნებიდან'' ოზურგეთის მუნიციპა-ლიტეტში მერობის კანდიდატად **ავთანდილ თალაკვაძე** წარადგინა.

– ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ოზურგეთში. ძალიან ბევრი, ათეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა ბოლო 8 წლის განმავლობაში ცენტრალური მთავრობის მიერ, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებშიც. ოზურგეთს წელს შეემატა ერთ-ერთი მართლაც გამორჩეული, სამგალითო ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი, რომლის რეაბილიტაცია, სრული აღდგენა დააფინანსა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და ,,ქართუ'' ფონდმა.

მე ყურადღებას გავამახვილებ იმ დიდ ტურისტულ პოტენციალზე, რომელიც ამ ქალაქს და ამ მუნიციპალიტეტს გაჩნია - აგროტურიზმი, ეკოტურიზმი ის მიმართულებებია, რომელიც აუცილებლად უნდა განვითარდეს სრული მასშტაბებით, ეს შესაძლებლობა ოზურგეთს ნამდვილად გააჩნია.

ოზურგეთი გამოირჩევა გურიის მხარეში, როგორც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, ოზურგეთში არის ტრადიციები სუბტროპიკული კულტურების წარმოების. ვიცით, რომ ერთ დროს ძალიან განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულება, რომლის აღდგენაც ზუსტად სოფლის მეურნეობის პრიორიტეტად გამოცხადების შემდეგ ისევ ,,ქართული ოცნების'' ხელისუფლებამ დაიწყო. –აღნიშნა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

ქვეყნაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე, განათლების დარგში, სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრეს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავამ,** პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ თალაკვაძემ,** განათლების და მეცნიერების მინისტრმა **მიხეილ ჩხენკელმა,** სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა.**

ავთანდილ თალაკვაძემ მადლობა გადაიხადა დიდი ნდობისთვის, ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივებზე.

–გურიას განსაკუთრებული პოლიტიკური კულტურა გამოარჩევს და ყოველთვის მომავალზეა ორიენტირებული. ამიტომ მე, ავთანდილ თალაკვაძე, გურული კაცი, პირობას გაძლევთ, რომ თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, საჯარო სამსახურსა თუ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მიღებულ გამოცდილებას სრულად მოვახმარ ჩვენი ქალაქის და სოფლების, აქ მცხოვრები ადამიანების უკეთეს ხვალინდელ დღეზე ზრუნვას. ოზურგეთის მერიას ექნება პროგრესული და დემოკრატიული პოლიტიკა, რომელიც ხალხს მოემსახურება და ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლას უზრუნველყოფს– განაცხადა **ავთანდილ თალაკვაძემ.**

ღონისძიების დასასრულს ქ. ოზურგეთში და გაერთიანებულ სოფლებში პარტია ,,ქართული ოცნებიდან'' მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარედგინა აქ შეკრებულ საზოგადოებას: **ლელა საჯაია, ნინო ნადირაშვილი, დავით მდინარაძე, ვახტანგ ნიჟარაძე, ბექა თოიძე, გიორგი ჩაგანავაოგიტა ართმელაძე, თამაზ ტულუში, ტარიელ (ვლა) არაშიძე, დავით ჭაკენლიძე, ნინო მახარაძე, ტიტე მგელაძე, პაატა კლურაძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, ნუგზარ სარჯველაძე.**

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 27 (10397) 23 აგვისტო, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სახალხო პარტია ბრუნდება

ალიონი. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში განახლებული სახალხო პარტია ბრუნდება.

ამის შესახებ ოზურგეთში, 18 აგვისტოს, დილის 10 საათზე გამართულ ბრიფინგზე ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსის'' უკვე ყოფილმა ერთ-ერთმა ლიდერმა **შოთა გოგიბერიძემ** განაცხადა.

როგორ ბრიფინგის დაწყებამდე გოგიბერიძემ თქვა: *,,ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე იყო პერიოდი, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის წიაღიდან წარმოიშვა სახალხო პარტია. ამ პარტიის დამფუძნებელი გახლდათ მამუკა გიორგაძე, ჯერ დისიდენტი და შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი. შემდეგ თითქოს მინელდა ამ პარტიის აქტივობები, მაგრამ შექმნილმა ვითარებამ, ქვეყნის კატასტროფამდე მიმყვანი ორპოლუსიანი პოლიტიკური სივრცის შეცვლის აუცილებლობამ, შექმნა სახალხო პარტიის განახლების, მისი რებრედინგის საჭიროება.*

ჩვენ, მე და ჩემმა მეგობრებმა დავტოვეთ პატრიოტთა ალიანსი, ბევრმა ახალგაზრდამ

▶▶▶ გვ-2

სოფელი

აჯობებს თუ არა ცხემლისხიდი შემოქმედს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობით

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის დიდ ინტერესს იწვევს სოფელ ცხემლისხიდში მიმდინარე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სოფლის ცენტრში მეორე მსოფლიო ომსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი გმირთა მემორიალის, მის მოპირდაპირედ კი სიცოცხლის სიმბოლოს, ჩვილბავშვიანი ქართველი ქალის მონუმენტის აგებას, ასევე მოსაცდელის მოწყობასა და სკვერის განაშენიანებას.

გრანიტის მემორიალი უკვე თითქმის მზად არის, ხოლო სამმეტრიანი მონუმენტზე, როგორც სკვერის სხვა დეტალების სრულყოფაზე, მუშაობს აქაური მხატვარი თენგიზ ლომთათიძე.

,,დიდი და სოფლისთვის აუცილებელი პროექტია, სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გამოყოფილი 50 ათასი ლარი სწორედ ამ პროექტის განხორციელებას ხმარდება. სამამულო ომს მრავალი ცხემლისხიდელის სიცოცხლე შეეწირა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში კი აფხაზეთის მიწაზე გმირულად დაეცნენ ჩვენი სოფლის მკვიდრები აკაკი მიმინოშვილი და ზაზა ჯანხოთელი.

რასაც თენგიზ ლომთათიძე აკეთებს, იმას 100 ათასი ლარი არ ეყოფა, ფაქტობრივად ამ მონუმენტსა და სკვერის მთელ ატრიბუტიკას ჩუქნის მშობლიურ სოფელს ეს კაცი.

ადმინისტრაციული შენობის ცენტრში უკვე მზადაა ვეტერანების სარეაბილიტაციო სატრენაჟორო და დაგეგმილია ამავე შენობაში საკალათბურთო დარბაზის კეთილმოწყობაც. ეზოში გაშენდა ძელქვის, მუხისა და ნეკერჩხლის ხეივანი, უფრო განაპირას, ღობესთან რომ ცაცხვია, გეცოდინებათ, ის თავის დროზე დიდმა გიორგი სალუქვაძემ დარგო.

შემოქმედის ცენტრთან მაქვს ჭიდილი, უნდა ვაჯობო ყველა ვარიანტში, პროექტი 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს უნდა დამთავრდეს და სწორედ ეს დღე უნდა იქცეს ჩვენი სოფლის დღესასწაულად''. - გვითხრა ოზურგეთის მერის წარმომადგენელმა ცხემლისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულში **შოთა მახარაძემ.**

სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის **ლალი სიჭინავას** თქმით, სოფლის მხარდამჭერი პროექტით როგორც შარშან, ისე წლეულს ცხემლისხიდელებმა პრიორიტეტი სოფლის

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცების გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის საოლქო კომისიის წევრები ამომრჩევლებს შეხვდნენ

ალიონი. *გასულ ოთხშაბათს, ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრები და თანამშრომლები ამომრჩევლებს შეხვდნენ. ფაქტიურად ეს იყო ერთგვარი პროექტი „ვესაუბროთ ამომრჩევლებს,“ რაც საოლქო საარჩევნო კომისიას და ამომრჩევლებს შორის მეტი კომუნიკაციის ჩამოყალიბებას ემსახურება. ისინი მოქალაქეების კითხვებს პასუხობდნენ და სამახსოვრო ლიფლეტებს არიგებდნენ.*

–ჩვენ ვხდებით ამომრჩევლებს, ვესაუბრებით, ვუხსნით თუ როგორ დარეგისტრირდნენ არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტად, როგორ მიიღონ მონაწილეობა ხმის მიღების პროცესში და ა.შ. ვცდილობთ მეტი გამჭირვალობა შევიტანოთ ამომრჩევლებში. ჩვენ არ ვართ პოლიტიზირებული და არჩევნები სამართლიანად და ობიექტურად ჩატარდება. მზად ვართ პასუხი გავცეთ არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვას.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვასრულებთ პანდემიასთან დაკავშირებულ ყველა რეკომენდაციას და ვზრუნავართ საარჩევნო ადმინისტრაციის და ამომრჩევლების ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის –გვითხრა საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ელგუჯა ჩხატარაშვილმა.**

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სახალხო პარტია ბრუნდება

დატოვა „ქართული ოცნება“ და შემოგვიერთდა. გვინდა სამივე რეგიონში შეიქმნას რაიონული ორგანიზაციები.

ჩვენც განახლების, ცვლილებების მომხრე ვართ, ჩვენც ბევრ რამეზე გვტკივა გული და ვიცით, რომ ბევრი ცვლილებაა საჭირო ამ ქვეყანაში. თუ მოხერხდება, რომ ჩვენი მონაწილეობით დაიწყოს ეს ცვლილებები, ძალიან მოხარული ვიქნებით. ძალიან დიდი მცდელობაა ჩემი მხრიდან, რომ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნაში მივიღო მონაწილეობა“.

გოგიბერიძემ ბრიფინგზე ისაუბრა, რომ პირველ ეტაპზე პარტიის შემადგენლობაში იქნებიან „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ და „ქართული ოცნებიდან“ წამოსული ახალგაზრდები:

„მინდა მოვაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გურიის პოლიტიკურ რუკაზე დღეიდან გამოჩნდება სახალხო პარტია, რომლის შემადგენლობაში პირველ ეტაპზე იქნებიან „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ და „ქართული ოცნებიდან“ წამოსული ახალგაზრდები. ჩვენ ვქმნით ამ პოლიტიკურ ჯგუფს იმისთვის, რომ ქვეყანაში ძალზე ბევრი ცვლილებაა განსახორციელებელი, სახალხო პარტიის განახლებას და რებრედინგს სათავეში უდგას ბატონი სოსო გოგაშვილი, ახალგაზრდა უნიჭიერესი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც, ჩემი აზრით, გახლავთ ამომავალი პოლიტიკური ვარსკვლავი საქართველოში.

ჩვენ ამ არჩევნებში სამივე მუნიციპალიტეტში მივიღებთ მონაწილეობას ძირითადად პარტიული სიებით, არ არის გამორიცხული, ზოგიერთ მაჟორიტარულ ოლქშიც მივიღოთ მონაწილეობა“.

ირაკლი ღარიბაშვილი ოზურგეთის წმინდა ნიკოლოზის ტაძარს ეწვია



საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ოზურგეთის წმინდა ნიკოლოზის ტაძარს ეწვია. მთავრობის მეთაურმა შემოქმედელ მიტროპოლიტ **იოსებს** ფერისცვალება მიულოცა და წმინდა ნიკოლოზის ტაძარი მოილოცა.

მეუფემ ირაკლი ღარიბაშვილი დალოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

ტაძარში პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე და სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე.

ირაკლი ღარიბაშვილი – განათლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ჩვენთვის პრიორიტეტია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასა და განათლების და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში ახლადაშენებულ სკოლას ეწვია. მთავრობის მეთაურმა 600 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერა.

ნასაკირალის ახლად აშენებულ სკოლაში პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე და სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინფორმაციით, დაბა ნასაკირალში ახალი სკოლის მშენებლობამ მოსწავლეთა რაოდენობა გაზარდა და ბოლო მონაცემებით, მოსწავლეთა რაოდენობა 400-ს აჭარბებს, შეინიშნება მეზობელი სკოლებიდან მოსწავლეთა გადმოსვლის ტენდენციაც.

საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ნასაკირალში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა 2021 წლის აგვისტოში დასრულდა. მშენებლობის ღირებულებამ 7 022 440 ლარი შეადგინა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებულ სკოლაში 24 საკლასო ოთახი და 4 კაბინეტი-ლაბორატორიაა. კეთილმოეწყო სკოლის ეზო, ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. გურიის სამივე რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესი. ბოლო რამდენიმე წელიწადში რეგიონში 9 ახალი სკოლა აშენდა, ხოლო 6 სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ირაკლი ღარიბაშვილი – მთავრობა სოფლის მეურნეობის დარგისა და ახალი საწარმოების მხარდაჭერას მომავალშიც განაგრძობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან და ვიცე-პრემიერ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად, გურიაში თხილის საწარმოს ეწვია.

მთავრობის მეთაური საწარმოო პროცესს გაეცნო და დასაქმებულებს გაესაუბრა. დამფუძნებლების ინფორმაციით, კომპანიას დღეში 10 ტონა თხილის მიღება და გადამუშავება შეუძლია.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა შოთა ხინთიბიძემ აღნიშნა, ახალი მიმართულების დანერგვის მიზნით, „შეღავათიანი აგროკრედიტის" ფარგლებში საწარმოს 500 000 ლარის ოდენობის სესხი დაუმტკიცდა, რამაც გაფართოებისა და განვითარების შესაძლებლობა მისცა.

კომპანია თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ პარტნიორებთან და პროდუქცია ევროპაში გააქვს. კომპანიის ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია – იტალია და გერმანია.

პრემიერ-მინისტრი ასევე საწარმოში შეკრებილ ფერმერებს გაესაუბრა, რომლებმაც სახელმწიფო პროგრამებით ისარგებლეს და სხვადასხვა დარგში სამაცივრე თუ გადამამუშავებელი საწარმოები შექმნეს. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობა სოფლის მეურნეობის დარგისა და ახალი საწარმოების მხარდაჭერას მომავალშიც განაგრძობს.

ფერმერებმა მთავრობის მეთაურს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ სახელმწიფო თანადაფინანსების გარეშე წარმოების განვითარებას ვერ შეძლებდნენ.

თავდაცვის უწყების მიერ შექმნილი მობილური სამხედრო-სამედიცინო ჯგუფები მოსახლეობის ვაქცინაციას განაგრძობენ

გასულ პარასკევს სამხედრო ექიმებით დაკომპლექტებული ჯგუფები გურიაში, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში იმყოფებოდნენ და ადგილობრივი მოსახლეობა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრეს. ვაქცინაციის მიმდინარეობის პროცესს გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილთან** ერთად გაეცნო.

სამხედრო ექიმები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით უზრუნველყოფენ ვაქცინაციის პროცესის ხელმისაწვდომობას იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც არსებული ვაქცინაციის ლოკაციებით სარგებლობას ვერ ახერხებენ. მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაცია ადგილზე რეგისტრაციით ამჯერად, „სინოფარმისა“ და „სინოვაკის“ ვაქცინით არის შესაძლებელი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანების შესაბამისად, ვაქცინაციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, თავდაცვის უწყების მიერ შექმნილი მობილური სამხედრო-სამედიცინო ჯგუფები მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ. სამხედრო ექიმებით დაკომპლექტებული ჯგუფები სხვადასხვა რეგიონის სოფლებში რამდენიმე ლოკაციაზე უზრუნველყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის ვაქცინაციას.

გურიის რეგიონში იმუნიზაციის პროცესი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზებული სხვა ვაქცინებით შეუფერხებლად მიმდინარეობს ლანჩხუთის „მედალფას“ კლინიკასა და „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში“, ჩოხატაურის კლინიკებში -„მედალფა“ და „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“, ასევე, ოზურგეთში- კლინიკა „მედალფაში“ და შეკვეთილში, ემერჯენსის შენობაში - სამედიცინო ცენტრ „დოსტაქარში“.

ამირან გამყრელიძე –თუ ეპიდსიტუაცია ისეთი იქნა, როგორიც დღესაა, ვერ გავცემთ რეკომენდაციას სწავლის დაწყებაზე

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, სკოლებში, პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის 80% თუ იქნება აცრილი, შესაძლებელია, დასწრებული სწავლება დაიწყოს.

თუმცა, როგორც მან ვებინარზე აღნიშნა, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს შექმნილი ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით სწავლის დაწყების რეკომენდაციის გაცემა გაუჭირდება.

–„ჩვენი მონაცემებით, სკოლის პედაგოგების 30%-ია აცრილი. თუმცა, განათლების სამინისტრომ ჩაატარა გამოკითხვა და ამბობენ, რომ ეს მონაცემი არის 40%-მდე. ჩვენი მონაცემები ორი კვირის წინანდელია და კარგია, რომ ეს 40%-ია. უსაფრთხო სკოლებს ჩვენ ვუწოდებდით სკოლებს, თუ იქ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის, ვინც სკოლაში მუშაობენ და ბავშვებთან შეხება აქვთ, 80% იქნება აცრილი. ამიტომ, რა თქმა უნდა, იქ სადაც 80% იქნება აცრილი, იქ შესაძლებელია და პირიქით უნდა წავახალისოთ, რომ იქ დაიწყოს დასწრებული სწავლება. მე რამდენჯერმე ვთქვი და გავიმეორებ, თუ ეპიდსიტუაცია ისეთი იქნა, როგორიც დღესაა, დავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ვერ გასცემს რეკომენდაციას სწავლის დაწყების თაობაზე“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მაშველებმა ურეკში 5 ადამიანი დახრჩობას გადაარჩინეს

გასულ კვირაში კურორტ ურეკში მაშველებმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს და ერთობლივად 5 ადამიანი (ორი ახალგაზრდა ქალი - დები და სამი მამაკაცი) დახრჩობას გადაარჩინეს.

როგორც ურეკიდან გვატყობინებენ, ზღვიდან სამშვიდობოს გამოყვანილები და განსაცდელს აცილებული მოქალაქეები თავს კარგად გრძნობენ.

სოფელი

აჯობებს თუ არა ცხემლისხიდი შემოქმედს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობით

ცენტრის კეთილმოწყობას მიანიჭეს:

–„ცხემლისხიდელები დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთი სოფლის ვიზუალს. სოფლის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში, როგორც შარშან, ისე წლეულს მათ პრიორიტეტი სოფლის ცენტრის კეთილმოწყობას მიანიჭეს. ნახეთ უკვე ალბათ, რაც კეთდება სოფლის ადმინისტრაციული შენობის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. ასეთი აქტივობები უხარიათ სოფლის ახალგაზრდებს.

მისასალმებელია, რომ კეთდება ცხემლისხიდი-უჩხუბი-ვაკიჯვრის დამაკავშირებელი ხიდი მდინარე ნატანებზე. მზად არის ვაკიჯვარი-ბაღდადი-ცხემლისხიდი-უჩხუბის სასმელი წყლის ქსელის პროექტი, მალე დაიწყება შესაბამისი სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდეგ მოხდება ამ ტერიტორიებზე გზის რეაბილიტაცია“.

ცხემლისხიდი მდინარეებით მდიდარი სოფელია, რომელთა მიმართ არასწორმა მიდგომამ, შესაძლებელია არა მხოლოდ ეს სოფელი დატბოროს, არამედ ქალაქ ოზურგეთსაც დიდი ზიანი მიაყენოს. ამიტომ აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ მდინარეების კალაპოტის გაწმენდას.

როგორც შოთა მახარაძემ გვითხრა, ბოლო მუნიციპალიტეტის მერიის ტექნიკით, 600 მეტრ სიგრძეზე ახლახან გაიწმინდა მდინარე ნაბჟუარას კალაპოტი: *„მუნიციპალიტეტის მერის ძალისხმევით, მუნიციპალიტეტის ტექნიკის გამოყენებით, 600 მეტრ სიგრძეზე გავწმინდეთ მდინარე ნაბჟუარას კალაპოტი. რაც შეეხება აქვე აგებულ გაბიონს, მისი აუცილებლობაც მერმა ცნო მას შემდეგ, რაც განიხილეს კახაბერ გიორგაძის განცხადება და ადგილზე გაეცნენ სიტუაციას. კახაბერის საცხოვრებელ სახლს ადიდებული მდინარე იმდენად მიუახლოვდა, რომ მოსალოდნელი იყო შიგ შეჭრილიყო. მერის გადაწყვეტილებით შეძენილ იქნა შესაბამისი მავთულბადე, მერიის ტექნიკისა და ადგილობრივი ცოცხალი ძალების გამოყენებით, 150 მეტრ სიგძეზე ოპერატიულად გაკეთდა წყალამრიდი გაბიონი.“*

ბოლო მშენებარე ობიექტი, რაც გასულ პარასკევს ცხემლისხიდში ვნახეთ, ცხემლისხიდი-უჩხუბი-ვაკიჯვრის დამაკავშირებელი ხიდი იყო. მშენებლობისთვის ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 1,2 მილიონი ლარი გამოჰყო. სამშენებლო სამუშაოებს კი შპს „სახარია“ აწარმოებს.

„როგორც ხედავთ აქ ერთ დროს იყო ხიდი. ახალი ობიექტის სიგრძე 108 მეტრი იქნება, სიგანე - 6 მეტრი. რომ არა მუნიციპალიტეტის მერიისა და მერის მხარდაჭერა, ეს პროექტი ამ ეტაპზე არ განხორციელდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხიდს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ზემოხსენებული სოფლებითვის. ხიდის მშენებლობის პარალელურად გაიწმინდება მდინარე ნატანების კალაპოტი და კეთილმოეწყობა გზა“, - დასძინა ჩვენთან საუბრისას **შოთა მახარაძემ.**

ცხემლისხიდში, რომ არ მოველოდით, იმდენი სიახლეა და ამ სოფლიდან უფრო სრულყოფილ რეპორტაჟებს მალე შემოგთავაზებთ.

ალიონი 90

1939

მარჯვნიდან მარცხნივ: ზ. კეჭარავა (შრომის კოლმეურნეობის ჩაის კრეფის რეკორდმსმენი); მართა კიბა (უკრაინის დნიპროპეტროვსკის ოლქის, გენიჩეს რაიონის „ნოვიაზოვის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შრომის თემში ჩამოსულ უკრაინელთა დელეგაციის მონაწილე) და მეკვანაძე (შრომის კოლმეურნეობის წევრი)

რკინაბეტონის ხიდი მდინარე სუფსაზე

ბათუმ-სამტრედიის ელგადამცემი ხაზის მშენებლობა იანვარში დაიწყებს კაპიტალური რკინაბეტონის ხიდის აგებას მდინარე სუფსაზე, სოფ. ძიმითში.

რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა 26 დეკემბრის სხდომაზე მოიწონა ავტორიტეტული კომისიის მიერ წამოყენებული ვარიანტი ხიდის აგების შესახებ ძიმითის ბორანს ქვემოთ, კოხასთან.

ელექტროგადამცემის გარდა ხიდი მომსახურებას გაუწევს ძიმითის მშრომელებს რაიონთან კავშირურთიეთობისთვის.

ხიდის აგებაზე დაიხარჯება წინასწარი ვარაუდით 1 მილიონ მანეთამდე. მშენებლობა დამთავრდება 1938 წლის ბოლოს.

„სლლტ“

საქართველოს ლუდის და ლიმონათის გამსაღებელმა თბილისის, ტრესტმა მახარაძეში სასტუმრო „გურიაში“ გახსნა თავისი კანტორა „სლლტ“.

მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ლუდი, ლიმონათი და ცხელი საუზმე ხელსაყრელ ფასებში.

№1, 1ანვარი, 1939 წ.

მშრომელთა წერილები

მოიყვანეთ გზა წესრიგში

ცხემლისხიდსა და დვაბზუს საზღვართან, საზღვრის გასწვრივ, სოფ. ფატარის მიმართულებით, ნახევარ კილომეტრზე გადის გზა, რომელიც უერთდება ცხემლისხიდ-შემოქმედის ახლახან გაფართოებულ შოსეს.

ამ გზას, მიუხედავად იმისა, რომ დროვითარებაში ოღრო-ჩოღრო გახდა, ვიწროა, მიხვეულ მოხვეული და მდინარე დვაბზუზე ხიდი არ არის, –დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა: იგი ემსახურება შემოქმედისა და დვაბზუს მშრომელთა კავშირურთიერთობას.

ცხემლისხიდის სოფლსაბჭომ დაპირდათ მისმა თავმჯდომარემ ამხ. შალვა შარაშენიძემ მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს ამ გზის წესრიგში მოყვანისათვის.

რაისაგზაო განყოფილების გამგემ ამხ. ანდრო გეგენავამ კი პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოუჩინოს ცხემლისხიდის სოფლსაბჭოს ამ საქმეში.

უ.ლ.

რას გავს ეს!

ლიხაურის კოოპერაცია აერთიანებს 6 განყოფილებას, 2 ფურნეს და 1 თორნეს. კოოპერაცია ვალდებულია ვალდებულია მომსახურება გაუწიოს ამ განყოფილებებს საქონლის გადაზიდვაში, მაგრამ ეს საქმე მოუგვარებელია.

ნუთუ არ არის იმის საშუალება, რომ მანქანას, რომელიც უქმად არის საწყობში, გაუკეთონ რემონტი და აამუშაონ? კოოპერაცია იხდის ტვირთის გადმოზიდვის საფასურს, რაც ადიდებს ხარჯებს. ამას ემატება დიდი დებიტორული დავალიანება, 18 სექტემბერს ბოროტმომქმედმა კოოპერაციის სალაროდან გაიტაცა 4.500 მანეთი. ამაზე დღემდე გადამჭრელი ზომები არ არის მიღებული.

საქონლის დამალვასაც აქვს ადგილი, რის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ მომხმარებლები.

8 დეკემბერს 554 მნ 34 კაპ. სამრეწველო საქონელი ლიხაურის საწყობში მიღებამდე გზაში გაიყიდა ძმაბიჭებთან.

კ. ც-ძე

საახალწლო ზეიმი

პედსასწავლებელში 29 დეკემბერს დამთავრდა სწავლა და დაიწყო საზამთრო არდაგებები.

საზეიმოდ მორთულ სკოლაში 31 დეკემბერს მოეწყო ნაძვის ხე.

ლამაზად მორთულ კორიდორებში თავი მოეყარათ მოსწავლეებს, მშრომელებს, მოწვეულ სტუმრებს. ისინი ხეიმობდნენ ახალ, სტალინურ ბედნიერების წლის შეხვედრას.

საღამოს 6 საათზე „თოვლის პაპამ“ სტუმრები მიიპატიჟა საახალწლოდ გაჩირაღდნებულ ნაძვის ხესთან საცეკვაოდ და სასიმღეროდ. ფერად-ფერადი ელნათურებით გაჩირაღდნებულ და ათასნაირ სათამაშოებით მორთულ ნაძვის ხეს სიხარულით და აღტაცებით უცქერდნენ მოსწავლეები და მოპატიჟებული სტუმრები.

სასკოლო გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა. შესრულებულ იქნა აგრეთვე ევპორული ცეკვები ა. რიჟინაშვილის ხელმძღვანელობით. ცეკვები მოხდენილად შეასრულეს ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილმა ნ. ზაქარიაძემ, გ. დოლიძემ და ნ. გიორგაძემ. ლექსები წარმოთქვა ბასილაშვილმა და სხვ.

გაისმის როიალის წკრიალა ხმა, რომელიც ასრულებდა „სულიკოს“, „მენახშირეს“ და სხვა ნომრებს.

მხიარულება, ცეკვა-თამაშმა 3 საათს გასტანა, რის შემდეგ სტუმრები მიპატიჟებულ იქმნენ ვახშამზე.

ბ. მგელაძე

№2, 5 იანვარი, 1939 წ.

რატომ დაიშალა მომღერალთა გუნდი

ცხემლისხიდში ჯერ კიდევ 1936 წელს ჩამოყალიბდა მომღერალთა საკოლმეურნეო გუნდი ნ. ლომინაძის ხელმძღვანელობით. გუნდს შეუძინეს 2335 მან. ტანსაცმელი, მეცადინეობა ტარდებოდა ხუთ თვეს. შემდეგ გუნდი დაადგა დაშლის გზას. მეცადინეობა არ ჩატარებულა, კონცერტი და თავისი ნამუშევარი ხალხისთვის არ უჩვენებიათ, წევრები გაიბნენ, ტანსაცმელი გაიცვითა. შემდეგ შეიძინა კოლმეურნეობამ 15 ჩონგური 750 მანეთად, მაგრამ ჩონგურზე დაკვრა კოლმეურნეებს არ შეუსწავლიათ.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად მოუთმენელი და დაუშვებელია.

შ. მშვიდობაძე

№3, 9 იანვარი, 1939 წ.

სასკოლო საჭადრაკო ტურნირი

სასკოლო არდადეგების დღეებში მახარაძის პედსასწავლებელში ჩატარდა საჭადრაკო ტურნირი სასწავლებლის პირველობაზე.

ქალთა ტურნირში (მონაწილეობდა 16 მოჭადრაკე) პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს მ. მეგრელაძემ და ნ. მჟავიამ. მესამე ადგილი დაიკავა მ. გიორგაძემ.

ვაჟთა ტურნირში (მონაწილეობდა 16 მოჭადრაკე) პირველი ადგილი დაიკავა შ. ჩიჩუამ, მეორე შ. კუტუბიძემ და მესამე ი.ღაჟონიამ.

კოტე ჩხაიძე

საჭადრაკო-საშაშო სექცია

ქ. მახარაძის სოც. კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა საჭადრაკო-საშაშო სექცია, რომელშიაც გაერთიანებულია 50 კაცი.

სექციაში არცერთი ქალი არ არის ჩაბმული. ამ მიმართულებით ფიზკულტურულ ორგანიზაციებს არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ.ეს ნაკლი უმოკლეს დროში უნდა გამოასწორონ.

კ. ჩ.

№8, 26 იანვარი, 1939 წ.

დათვების მოკვლა

რამდენიმე დღის წინად გომის კოლმეურნეები: ძმები ილარიონ და მაქსიმელ კვარაცხელიები ტყეში საზამთრო საძოვარზე აძოვებდნენ პირუტყვს. მათ ტყეში ნახეს ადგილი, რომელსაც ემჩნეოდა ნადირის ნაწოლი. ამ დროს იქვე ახლოს გამოჩნდა ორი დათვი, რომლებიც საზარელი ღმუილით გაემართნენ კავარცხელიებისკენ. ძმები არ დაიბნენ, სასწრაფოდ მოიმარჯვეს ნაჯახი და იქვე მოკლეს მხეცები.

მეტი ყურადღება გომისთას

გომის მთას, როგორც მშრომელთა ჯანმრთეობის სამჭედლოს, დიდი პერსპექტივა აქვს. მაგრამ ჯერ კიდევ იგი დღემდე ვერ სარგებლობს ისეთი ყურადღებით, რომლის ღირსიც არის.

გომის მთაზე, მიუხედავათ იმისა, რომ იგი სათანადოდ არაა მოწყობილი, ასასვლელი გზა ცუდია და სხვა, ყოველწლიურად მრავალი მოაგარაკე ისვენებს. ზღვის დონიდან მთა 2100 მეტრი სიმაღლეზეა და 100 მეტრით უმაღლესია კურორტ ბახმაროზე.

აღსანიშნავია, რომ გომის მთის სადაჩო ტერიტორია დღემდე არ არის გამიჯნული ტყის მასივისგან, რის გამოც უმოწყალოდ იჩეხება ისეთი მცენარეები, რომელთაც საკურორტო მნიშვნელობა აქვთ.

რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა გასული წლის დეკემბერსი გამოჰყო კომისია ნ. თავბერიძის, ი. გოგოძის (თავმჯდომარე), გრ. კუნჭულიას, მ. ქავთარაძის, მ. ჭოხონელიძის და ბ. მახარაძის შემადგენლობით. კომისიას დავალებულიჰქონდა დაწვრილებით შეესწავლა გომის მთის დღევანდელი მდგომარეობა და წარედგინა რაიაღმასკომის პრეზიდიუმისათვის საჭირო დასკვნები, მაგრამ ჯერჯერობით კომისიას ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამს.

აქედანვე უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ გომის მთამ ღირსეულად ემსახუროს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

№9, 29 იანვარი, 1939 წ.

ჯაზ-ორკესტრის კონცერტზე

ქ. მახარაძეში ჩამოვიდა აჭარის სახელმწიფო ესტრადასთან არსებული ნორჩ არტისტთა ჯაზ-ორკესტრი.

ჯაზ-ორკესტრი კონცერტებს 30 იანვრიდან 5 თებერვლამდე ჩაატარებს ანასეულში, ქალაქის სბავშვო ბაღში და კოლმე-ურნეობებში.

აღსანიშნავია, რომ ჯაზ-ორკესტრის ყველა მონაწილე (8 კაცი) ერთი ოჯახის –ჟენია კრასენბაუერის -ოჯახის წევრია. მათ დირიჟორობს 6 წლის გოგონა რასა კრასენბაუერი.

საკონცერტო პროგრამაში შედის მუსიკა, დეკლამაცია და კუთხური ცეკვები.

თითო კონცერტის პროგრამა ითვალისწინებს 17 სხვადასხვა ნომრების ჩვენებას სამ განყოფილებად.

№10, 2 თებერვალი, 1939 წ.



ილარიონ და მაქსიმელ კვარაცხელიები მოკლულ -დათვებთან

მეტი ყურადღება ბავშვთა ბაგას

ბავშვთა მეორე ბაგა ქალაქზე დაშორებით, კვირიკეთის საზღვართან არის გახსნილი.

ქალაქად მუშა-მოსამსახურეთა შვილები ამ ბაგით ისე ვერ სარგებლობენ, როგორც საჭიროა.

ბაგასთან მისასვლელი ქუჩა (მოსკოვის) შეუკეთებელია, ბაზრის წყლის ხიდი კი ფიცრებგაცვენილი. ამიტომ ბაგაში თითქმის შეუძლებელი ხდება ბავშვების მიყვანა მისი სრულიად შეუფერებელ ადგილზე მოწყობის გამო.

ქალაქის საბჭომ და ჯანმრთელობის განყოფილებამ ამ ბაგას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

მოსამსახურე

№15, 16 თებერვალი, 1939 წ.

ახალი ბაღი

ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ქალაქის კეთილმოწყობისათვის აღებული იქნას არტელ „გრდემლის“ და „გურკოოპტყის“ დარაბები.

დარაბების ადგილას გაზაფხულზე გაშენდება დეკორატიული ბაღი და გაკეთდება მდინარის სანაპირო.

კოლმეურნეთა საჭადრაკო ტურნირზე

დამთავრდა კოლმეურნეთა საჭადრაკო ტურნირი რაიონის პირველობაზე. ტურნირმა ჭადრაკის ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გამოამჟღავნა.

პირველი ადგილი პარტიის წაუგებლად დაიჭირა ბ. ჩხატარაიშვილმა (შემოქმედი), მან მოიპოვა მონაწილეობის უფლება საქართველოს საკოლმეურნეო საჭადრაკო შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართება თბილისში თებერვლის შუა რიცხვებში. მეორე ადგილზე გამოვიდა კონკურსს გარეშე მონაწილე ა. მიქელაიშვილი, მესამეზე აპოლონ ქურიძე.

ტურნირში მონაწილე 8 კაცს მიენიჭა საკავშირო მეხუთე კატეგორიის მოჭადრაკის სახელი.

კოტე ჩხაიძე

მომღერალთა გუნდი

სამი თვის წინათ ძიმითის კლუბთან ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს მოწინავე კოლმეურნე ამხ. სამსონ ხინთიბიძე.

გუნდმა შეისწავლა 3 საჩონგურო სიმღერა: („შალვა ჩემო,“ „დილა,“ და „გურული საკოლმეურნეო სიმღერა“). გუნდი კარგად მღერის აგრეთვე სხვადასხვა რევოლუციურ სიმღერებს.

გუნდის მუშაობს ამ რამდენიმე დღის წინათ შემოწმებული და მოწონებული იქნა. გუნდის ხელმძღვანელს მადლობა გამოეცხადა.

№16, 21 თებერვალი, 1939 წ.

მიხედეთ ძეგლს

დიდი ხნის წინათ,სტალინის ქუჩაზე თეატრის მშენებლობის გვერდით დადგმულ იქნა მწერალ ეგნატე ცნინოშვილის ძეგლი, რომლის მოვლაზე არავის უფიქრია.

ძეგლი ფუჭდება უყურადღებობის გამო.

გუშაგი.

როდის შეაკეთებენ გზას

ცხემლისხიდი შემოქმედის მიმართულებით 40 მეტრის მანძილზე მდინარე ოჭომადან სურგულაძის ეზომდის წამხდარია გზა. სკოლაში მოსიარულე მოწაფეებს ხელი ეშლებათ. ისინი დადიან ღობე-ყორეზე.

შემოქმედის სოფლსაბჭომ უნდა გამოსაწოროს ეს ნაკლი.

შ. მშვიდობაძე

№23, 15 მარტი, 1939 წ.

რამდენიმე სიტყვა დიდი გობრონის ღირსეულ შთამომავალზე

აკაკი გობრონიძე - 100

ფინ: ვასილ მჟავანაძე და აკაკი გობრონიძე

ივლისში ბატონი აკაკი გობრონიძის დაბადებიდან 100 წელი გასრულებულა. ამის შესახებ მისმა ყოფილმა თანამშრომელმა და უმცროსმა მეგობარმა ბატონმა რეზო თედორაძემ გვაცნობა ჩოხატაურიდან.

აკაკი გობრონიძე ის კაცია, რომლის სახელი და გვარი, თავისი, ქვეყნისა და ხალხისთვის ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო, არასოდეს ამოიშლება გურიის ისტორიიდან. შეიძლება ითქვას, რომ ბატონი აკაკის ტოლფასი საზოგადოებრივი მოღვაწე გურიაში თითზე ჩამოსათვლელია. მას, როგორც ერთ-ერთ შეუდარებელ, პრინციპულ, სამართლიან, პოლიტიკასა და ეკონომიკაში კარგად გათვითცნობიერებულ ხელმძღვანელს, განუზომლად დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა პერიოდში ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონების განვითარებასა და წინსვლაში. სადაც იღვაწა, ყველგან თავისი წარუშლელი კვალი დატოვა.

მახსენდება, როგორ გავიცანი: ეს ის პერიოდია, „გურია ნიუსში“ რომ ვმუშაობდი. მაშინ ჩვენი ოფისი დოლიძის ქუჩაზე მდებარეობდა. ერთ მშვენიერ დილას, პარასკევს ხელჯოხიანი კაცი მესტუმრა, რიხიანი გამარჯობა მითხრა, აკაკი გობრონიძე ვარო. სკამი შევთავაზე სტუმარს. მეუღლის მოსაგონარის გამოქვეყნება მინდაო, პიჯაკის ჯიბიდან შუაზე გაკეცილი რამდენიმე თაბახის ფურცელი ამოიღო და მომაწოდა.

„იმ დღეს ბედნიერი მხოლოდ ის იყო, ვინც შენ არ გიცნობდა“ - ახლაც მახსოვს იმ წერილის საოცრად ემოციური სათაური. წავიკითხე ბოლომდე, შევეცადე, არ შემემჩნია, რომ მომეწონა და ვუთხარი მოგონების სახით ვერ დავბეჭდავთ-მეთქი.

– ეს როგორ, ფულს ვიხდი, კაცო?! - გაუკვირდა, ცოტათი გაწყრა კიდეც.

– ბატონო აკაკი, ეს არ არის მოგონება, უფრო მეტია, ასეთ წერილებში ავტორებს ჰონორარს იქეთ ვუხდით და თუ თქვენი ნება იქნება, უფასოდ დავბეჭდავთ-მეთქი.

შევატყვე, რომ ესიამოვნა.

„გურია ნიუსის“ ხელმძღვანელებს, ია მამალაძესა და გია სიხარულიძეს ასეთი რამ არ ეშლებათ, მით უფრო, მათ კარგად იცოდნენ ბატონი აკაკის დამსახურება ჩოხატაურისა და ჩოხატაურელთა წინაშე და ორშაბათს გაზეთის ცინცხალი ნომერი, რომელშიც განთავსდა ხსენებული წერილი, სახლში მივართვი ავტორს. შემიძლია ვთქვა, რომ „გურია ნიუსის“ ოზურგეთის განყოფილებაში, ჩემი მუშაობის პერიოდში, ასეთი დონის სულ რამდენიმე წერილი შემოვიდა.

ამ დღიდან დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა, რომელიც შემდეგ მეგობრობაში გადაიზარდა. კარგი კალამი ჰქონდა, მემუარების გამოქვეყნება შევთავაზე თუ დაწერდა. სურვილი ერთია, მაგრამ, რომ დავწერო, მარჯვენა ხელი არ მემორჩილებაო. დავითანხმე: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, შესვენებისას მივაკითხავდი და დიქტაფონზე ჩავიწერდი მის საუბარს, საღამოობით კომპიუტერში შევიყვანდი მასალას, დილით კი ამოვბეჭდავდი და წავაკითხებდი.

ერთ დეტალს გავიხსენებ: რომელიღაც თარიღში შემეპარა ეჭვი, შემოვხაზე და კითხვითი ნიშანი დავუსვი. ნაწერს გადახედა და თითი დამიქნია - ყმაწვილო, შენ ჩემს მეხსიერებაში ეჭვი არ შეგეპაროსო. მაშინ ბატონი აკაკი ოთხმოცდაათს მიკაკუნებული იყო.

სამთვიან ერთობლივ მუშაობას ის მოჰყვა, რომ სამზეოზე გამოჩნდა ბატონი აკაკი გობრონიძის წიგნი, რომელიც მაშინვე დაიტაცა მკითხველმა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მაგალითისთვის გეტყვით, რომ პირადად ჩემთვის სახსოვრად გადმოცემული ერთი ეკზემპლარი, ავტორის წარწერით, ერთმა წიგნიერმა კაცმა ითხოვა და როცა შევახსენე, როდის დააბრუნებ-მეთქი, ის უკვე ხომ დაგიბრუნეო, გაიკვირვა, სინამდვილეში „შემაწერა“. რასაკვირველია, მეწყინა, მაგრამ მესიამოვნა, რომ ამ წიგნზე ტაციაობა გაჩაღდა, რაც, უპირველესად, იმის დასტურია, რომ ბატონი აკაკი უყვარდა და უყვარს ჩვენს საზოგადოებას.

ბატონი აკაკის ამ წიგნში, სხვათა შორის, ისიც ჩანს, რომ გობრონიძეების დიდ გვარს ყველა ეპოქაში ტრადიციულად ჰყავდა გამორჩეული პიროვნებები. ამ ტრადიციის მოშლა არ ეგების, ბატონ აკაკის ჰყავს ღირსეული შთამომავლობა, რომელიც თავის სიტყვას იტყვის დღეისა და მომავლის საქართველოში.

თემურ მარშანიშვილი.

ისევ ტოგო დუმბაძის შესახებ

საქართველოს ძალოსანთა შეჯიბრის მონაწილენი. მარჯვნიდან პირველი დგას ტოგო დუმბაძე. 25. 11. 1938წ. თბილისი

გაზეთ „ალიონის“ წინა, 16 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ექსკლუზიური მასალები ოზურგეთში ფეხბურთის ერთ-ერთი დამფუძნებლის **ვალერიან (ტოგო) დუმბაძის** შესახებ.

სტატიას ფეხბურთის მოყვარულების გამოხმაურებები მოჰყვა. ამიტომ გთავაზობთ დამატებით მოძიებულ მასალებს.

როგორც დავაზუსტეთ, ვალერიან (ტოგო) დუმბაძე 1905 წელს დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში. ხუთი კლასის განათლება მიიღო ქ. ნოვოროსიისკში, სადაც მისი დედ-მამა ცხოვრობდა. 1921 წლიდან იგი სწავლობდა ქ. ბათუმში, გიმნაზიაში, ხოლო 1923 წლიდან ქ. ოზურგეთის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომლის სრული კურსი 1924 წელს დაამთავრა.

ტოგო დუმბაძე ბავშვობიდან იყო დაინტერესებული სპორტის რამდენიმე სახეობით, მაგრამ განსაკუთრებით –ფეხბურთით. როგორც ვწერდით 1920 წელს ქ. ნოვოროსიისკში იგი აირჩიეს პოდვოისკის სახელობის სპორტკლუბის თავმჯდომარედ, ხოლო ბათუმში გადმოსვლის შემდეგ მან 4 საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბა. იგი წარმატებით გამოდიოდა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ოზურგეთში ტოგო დუმბაძე კარგად უხამებდა ერთმანეთს სწავლასა და სპორტულ მუშაობას. ჯერ ხელმძღვანელობდა ზვანის, შემდეგ ქალაქის სპორტულ საზოგადოება „სპარტაკს“. 1924-1932 წლებში მუშაობდა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში სოფლის სკოლების მასწავლებლად და ამავე დროს ეწეოდა სპორტულ საქმიანობას აჭარასა და გურიაში.

ოზურგეთელი ტანმოვარჯიშეები რესპუბლიკურ ტურნირზე 12. 12. 1938 წ. თბილისი

1933 წლიდან იგი მუშაობდა ოზურგეთის პედსასწავლებელში ფიზკულტურის მასწავლებლად, იმავდროულად იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ოზურგეთის უჯრედის ინსტრუქტორი.

1940 წლიდან შემოქმედის საშუალო სკოლაში მუშაობდა.

ვალერიან (ტოგო) დუმბაძე მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. ომის შემდეგ კი პენსიაში გასვლამდე კვლავ შემოქმედის სკოლაში აგრძელებდა მუშაობას. მან ძალიან ბევრი კარგი სპორტსმენი გაზარდა, რომლებიც წარმატებით ასპარეზობდნენ რესპუბლიკურ პირველობებზე.

დაჯილოდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და საბრძოლო მედლებით.

ტოგო დუმბაძე თავმჯდომარეობდა სოფელ შემოქმედის ფიზკულტურულ კოლექტივს, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლებსიმ და 60-იანი წლების დასაწყისში პირველობდა რესპუბლიკის სასოფლო ფიზკულტურის კოლექტივებს შორის.

ტოგო დუმბაძე 1975 წელს გარდაიცვალა.

შეხვედრები მოსახლეობასთან გრძელდება

კომპანია **CCEH Hydro VI**-ის პროექტის „პახვი 1“ ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მმართვე-ლობის გუნდი, ტექნიკურ ჯგუფთან ერთად განაგრძობს შეხვედრების სერიას დაინტერესებულ ჯგუფებთან. ამჯერად კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენლები პროექტის განხორციელების არეალთან მიმდებარე სოფლების, მთისპირის, ოქროსქედის, უკანავას და ვანისქედის მოსახ-ლეობას შეხვდნენ. მოსახლეობასთან შეხვედრას, ადგილობრივი თვითმ-მართველობის წარმომადგენლები, კერძოდ, ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში, **მაია ჩავლ-ეშვილი** და ოზურგეთის მერის წარმომადგენლის თანაშემწე მთისპირის თემში, **რომან ვანაძე** ესწრებოდნენ.

შეხვედრების ფორმატში კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა **დავით მიქელაძემ** მოსახლეობას „პახვი 1“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტი წარუდგინა და აუხსნა გარემო-სდაცვითი და სოციალური ასპექტები. პროექტის მენეჯერის მოადგილემ, **ვალერი ხარიძემ,** დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტის ადგილმდებარეობა და მისი ტექნიკური მონაცემები.

ყველა შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. მოსახლეობამ, ამომწურავი პასუხები მიიღო ყველა არსებულ კითხვაზე და ასევე,გა-იმართა განხილვა იმ სოციალური საჭიროებებისა, რომელიც სოფლის მოსახლეობას გაჩნია.

–„*კომპანიის კეთილი ნებაა, პროექტის განხორციელების შემ-ხვევაში, საკუთარ თავზე აიღოს ადგილობრივი თემისთვის მნიშვნელო-ვანი, სოცია-ლური პროექტების განხორციელება. ჩვენ დავიწყეთ კომუნიკაცია, ვისმენთ ადგილობრივი თემის წარმომადგენლების მოსაზრებებს და იმედი გვაქვს, შეეჯერდებით ისეთ მნიშვნ-ელოვან და საჭირო პროექტებზე, რომლის განხორციელებასაც შეეძლებთ, პროექტის საერთო ბიუჯეტის გათვალისწინე-ბით. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია ჰიდროელექტროსადგურის მშენე-ბლობის ფაზაზეც და შემდეგაც, ოპერირების დროს, აპირებს ადგილობრივი კადრების დასაქმებას. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, სასიკეთო ცვლილებების მოტანა, როგორც ქვეყნისთვის, ასევე საპროექტო არეალის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებისთვის*“ – განაცხადა, პრ-ოექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით მიქელაძემ.**

შეხვედრები უშუალოდ სოფლ-ებში კოვიდ ვითარების რეგულაციების გათვალისწინებით და სრული დაცვით,ღია ცის ქვეშ იმართებოდა. კომპანიის წარმომადგენლები საერთო ჯამში 100 – მდე ადამიანს შეხვდნენ.

საქართველოში უმუშევრობის დონე 22,1%-მდე გაიზარდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წლის II კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.8%-ით გაიზარდა და 22.1% შეადგინა, ამის შესახებ ინფორმაციას **PIA.GE** ავრცელებს.

ამავე პერიოდში სამუშაო ძალამ (ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 51.4% შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.1%-ით მეტია, ხოლო დასაქმების დონე შემცირებულია 1%-ით და 40.1%-ს შეადგენს. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე) ქალაქის ტიპის დასახლებებში გაიზარდა 1%%-ით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 1.3%-ით.

დასაქმების დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში - 0.5%-ით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 1.7%-ით შემცირდა.

2021 წლის II კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 68.5%-ს შეადგენდა, რაც 0.7%-ით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2021 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში გაზრდილია 1.2%-ით, ხოლო კაცებში - 5.7%-ით.

იყიდება

ქალაქ ოზურგეთში,სოფელ ხვარბეთში,იყიდება ორსართულიანი სახლი 1,5 ჰექტარი მიწით. 20 ტონიანი ციტრუსის ბაღით(მანდარინი,ლიმონი, ვაშინგტონი,ფორთოხალი) ასევე მრავალნაირი ხეხილით ერთ ტონიანი სრულმოსავლიანი თხილის ბაღით (გაშენების პერსპექტივით) საკუთარი ტყის ნაკვეთით. უწყვეტი ბუნებრივი წყლით, სოფელი მთლიანად არის გაზიფიცერებული.
ქალაქის ცენტრიდან,სოფლის სახლამდე გზის საფარი მთლიანად არის მოასფალტებული..!!! ზღვიდან ნახევარი საათის სავალ გზაზე უახლოესი რკინიგზის სადგური მდებარეობს სახლიდან 2 კილომეტრში. საკარმიდამო,მოვლილი და შეღობილია,არ საჭიროებს ფინანსურ დანახარჯებს.
ფასი შეთანხმებით(განიხილება გაცვლაც)
საკონტაქტო: 577 455 538....568 638 058 მაგული

სკანვორდი



პასუხები:

ანიმესტი: სოფოლა ხერეთი; მე-12 ასობგერა – ჭ; ვიგანტური თევზი – თორი; ქალის სახელი – ოთარი; ტექნიკური მეცნიერება – ტანკი; ივნისი – ბალი; ელექტროდაფა – ლამპა; ხევი – ბალიშ; ბალიშ – ბალიშ; ბალიშ – ბალიშ; ბალიშ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

გაგრძელება. დასაწყისი „ალიონი“ №20-25

ამერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა

ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციამ მრავალგზის მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს,რომ ბრესტ-ლიტოვსკში ხელშემკვრელი მხარეები დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოები იყვნენ და სახელმწიფოებრივობის არმქონე ამერკავკასიის პროტესტს სამართლებრივი ძალა არც 1918 წლის 3 მარტამდე და არც შემდეგ არ ექნებოდა. დღის წესრიგში დადგა ამერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის 9 (22) აპრილს 8 საათსა და 55 წუთზე კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა ამერკავკასიის სეიმის სხდომა. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ სეიმმა დადგინა: შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო — **ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა.** იმავე დღეს სეიმმა მოისმინა ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი დელეგაციის ანგარიში და ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო.

1918 წლის 10 (23) აპრილს აკაკი ჩხენკელმა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალს ვეჰიბ მეჰმედ ფერიკ ფაშას დეპეშით აცნობა ამერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე. **აკაკი ჩხენკელი ვეჰიბ ფაშას** თხოვდა ოსმალეთის ჯარები იმ ტერიტორიებიდან გაეყვანა, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ოსმალეთის არ ეკუთვნოდა. იმავე დღეს 10 (23) აპრილს კავკასიის არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა **ილია ოდიშელიძემ** საბრძოლო მოქმედებების შეჩერების თაობაზე ბრძანება გასცა. იმავე დღეს ილია ოდიშელიძემ ვეჰიბ ფაშას წინადადება მისცა ოსმალეთის ჯარებსაც შეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები. 1918 წლის 11 (24) აპრილს ვეჰიბ ფაშამ აკაკი ჩხენკელს აცნობა:

1. *ოსმალეთის ჯარები შეტევას შეაჩერებდნენ თუ კი მოწინააღმდეგე აგრესიულ მოქმედებებს არ გაგრძელებდა;*

2. *ყარსის მმართველებით ოსმალეთის ჯარები შეტევას შეაჩერებდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2 კილომეტრზე მიუახლოვდებოდნენ ციტადელს და ყარსის გარნიზონს ციხესიმაგრის დაცლის საშუალებას მისცეოდნენ;*

3. *აუცილებელი იყო ამერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციების შეხვედრა ქალაქ ტრაპიზონში, რათა უმოკლეს ვადაში დადებულიყო ორივე მხარისათვის მის-ალები ზავი.*

1918 წლის 13 (26) აპრილს 17 საათსა და 20 წუთზე კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა ამერკავკასიის სეიმის სხდომა. სეიმმა დაამტკიცა ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

1. **აკაკი ჩხენკელი** — მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი;

2. **ნოე რამიშვილი** — შინაგან საქმეთა მნისტრი;

3. **ალექსანდრე სატისოვი** — ფინანსთა მინისტრი;

4. **ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი** — გზათა მინისტრი;

5. **ფათალი-ხან ხოისკი** — იუსტიციის მინისტრი;

6. **გრიგოლ გიორგაძე** — სამხედრო მინისტრი;

7. **ნოე ხომერიკი** — მიწათმოქმედების მინისტრი;

8. **ნ.-ბ. უსუბბეკოვი** — საახალხო განათლების მინისტრი;

9. **მეჰედ ჰასან ჯაფარყული გაჯინსკი** — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი;

10. **ა. ი. საკიანი** — სურსათის მინისტრი;

11. **რ. ი. კარაზნუნი** — სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი;

12. **ა. ა. ერზინკიანი** — შრომის მინისტრი;

13. **ი.-ბ. გაიდაროვი** — სახელმწიფო კონტროლიორი.

ახლადგამოცხადებულ ამერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს ბევრი უმძიმესი პრობლემა ქონდა გადასაჭრელი, რომელთა შორის უპირველესი ოსმალეთთან მომავალი საზავო მოლაპარაკება იყო.

ტრაპიზონის საზავო კონფერენციის შეწყვეტის შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში უკიდურესად დაიძაბა. 1918 წლის 11 (24) აპრილს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა ევგენი ლევანდოვსკიმ ამერკავკასიის კომისარიატს მოახსენა: „ამ დროისათვის ყარსის მდგომარეობა უიმედოა და მისი საათები დათვლილია“. ლევანდოვსკის მოხსენების შემდეგ ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე ესაუბრა კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეს. შექმნილი ვითარების ანალიზის შემდეგ გადაწყდა: **ყარსის** გამაგრებულ რაიონში საბრძოლო მოქმედებები შეწყვეტათ და ოსმალეთის სარდლობის პირობები მიეღოთ. იმავდროულად გადაწყდა ალექსანდროპოლის(გიუმრის) გარნიზონს სიმაგრე დაეტოვებინა და ქვეყნის სიღრმეში დაეხია.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა. პოლემიკა ამერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს პერსპექტივის შესახებ

ამერკავკასიის ახლადშექმნილი სამოკავშირეო სამოკავშირეო სახელმწიფოს მესვეურები ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად თვლიდნენ კონსტიტუციის შემუშავებას. გადაწყდა, უნდა შემუშავებულიყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონსტიტუციები და ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1918 წლის 2 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის საკონტიტუციო კომისიის ქართველი წევრები. სულ ამერკავკასიის საკონსტიტუციო კომისაში უნდა აერჩიათ 24 კაცი,აქედან ხუთ-ხუთ წევრს ირჩევდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები,ხოლო დანარჩენ ცხრას ნიშნავდა ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა. ამერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიის ქართველ წევრებად არჩეული იქნენ: **გიორგი გვაზავა, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ვლადიმერ გობერნია.** 9 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაადგინა: ჯერ გაიმართოს ზოგადი მსჯელობა



საქართველოს კონსტიტუციის შესახებ, ხოლო შემდეგ არჩეული იქნას საქართველოს საკონსტიტუციო კომისია.

იმავე დღეს, 1918 წლის 9 მაისს, გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-14 კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: *1. საქართველოს კონსტიტუციის შედგენა; 2. ამერკავკასიის ერების გადამჯვენა.* კრების გახსნისას მისმა თავმჯდომარემ **გიორგი ლასხიშვილმა** აღნიშნა, რომ შესადგენია ორი კონსტიტუცია — ამერკავკასიისა და საქართველოსი. ამ საკითხზე კრების წინაშე მოხსენებით წარსდგა სოციალისტ-ფედეფერალისტი **გრიგოლ რცხილაძე.** მოხსენების შემდეგ გამართული კამათიდან, რომელშიც მონაწილეობდნენ **რევაზ გაბაშვილი, სერგო ჯაფარიძე, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, შალვა ქარუმიძე, ალექსანდრე ლომთათიძე** და სხვები, აშკარა გახდა, რომ ამერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფო ძალზე რთული პრობლემის წინაშე იდგა — ძნელი იყო ცალკეული ერების ინტერესების შეთანხმება.

1918 წლის 12 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. გადაწყდა: საქართველოს ეროვნული საბჭოს კრებაზე საქართველოს კონსტიტუციის შესახებ მოხსენებით წარსდგებოდა სოციალ-დემოკრატი **სერგო ჯაფარიძე,** რის შემდეგაც გაიმართებოდა კამათი. იმავე დღეს, 12 მაისს, გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-15 კრება. კრებაზე საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სერგო ჯაფარიძე. მოხსენების განხილვისას ცხადი გახდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებს და მათ თანამოაზრეებს არ სურდათ საქართველოს დარჩენა ამერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოში, ისინი პირდაპირ აყენებდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხს. **გიორგი გვაზავამ** თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: „მე დიდის ყურადღებით მოვისმინე წინა ორატორები. გულწრფელად გეტყვით: ბ. სერგო ჯაფარიძემ დაამტკიცა, რომ ჩვენში ფედერაცია შეუძლებელია, ბბ. პ. საყვარელიძემ და გ. რცხილაძემ ნათელჰყვეს, რომ კონფედერაციაც აგრეთვე შეუძლებელია“. მას შემდეგ, რაც დასაბუთა ამერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს, ასევე ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანლების კონფედერაციული სახელმწიფოს მიზანშეუწონლობა, გიორგი გვაზავამ განაცხადა:„ბატონებო! დროა შევწყვიტოთ ფანტაზიორობა და დავადგეთ რეალურ გზას. დიდი ხანია ჩვენ ავცდით რეალურ პოლიტიკას და სამშობლო ნიადაგს. ჯერ გვინდოდა დაგვეხსნა მთელი კაცობრიობა, მერე რუსეთი,ახლა კი ვებღაუჭებით მთელ ამერკავკასიას და გვინდა ყველა ერი ავაშენოთ,გავახაროთ და გავანთლოთ. ჩვენ კი ვივიწყებთ ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს და ისიც კი ვერ მოგვიხმარია, რაცა გვაქვს,ის საერთაშორისო ჩვენი უფლებანი, რაც ოცი საუკუნის განმავლობაში ხმლითა და სისხლით გამოუგლეჯია ბედის ხელიდან ჩვენს წინაპრებს“. გიორგი გვაზავამ სოციალ-დემოკრატები გაფრთხილა: თქვენ გინდათ მოაწყოთ რაღაც ფედერაცია თუ კონფედერაცია და ერთხელ კიდევ დაასამაროთ საქართველოს ბედი ამ უცნაური პოლიტიკური შენობის წამოხუხულავებით“. გიორგი გვაზავამ ეროვნული საბჭოს კრებას გააცნო ეროვნულ-დემოკრატთა პოზიცია: „*ა) საქართველო უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, ბ) კავკასიის სახელმწიფოთა საერთო საქმეების მოსაწესრიგებლად დაარსებულ უნდა იქნას მუდმივი ორგანო კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან*“.

კამათი საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-15 კრებაზე ვერ დასრულდა. ოგი გაგრძელდა მე-16 კრებაზე, რომელიც 1918 წლის 14 მაისს გაიმართა. ამ დღეს მეტად საინტერესო სიტყვა წარმოთქვა **კონსტანტინე აფხაზმა.** კონსტანტინე აფხაზმა თავისი სიტყვა ძალზე მწვავედ დაიწყო: „უნდა მოგახსენოთ,მე თავმჯდომარის განცხადება შერ შეეთვისე. თავმჯდომარემ ბრძანა: ორატორებს ნება აქვთ იალაპარაკონ მარტო კონფედერაციისა და ფედერაციის შესახებ. მე მსურს მალაპარაკოთ საერთოდ სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე, ვინაიდან სრულებით მეცნიერულად არ იყო დასაბუთებული,რომ ჩვენ სწორედ ესა თუ ის წყობილება მივიღოთ. სახელმწიფო სამართლის შესახებ მეცნიერება გვეუბნება, რომ როდესაც ახალ სახელმწიფოებრივ წყობილების შემოღება ჰსურთ, ამ საკითხს ისტორიულის, ეთნოგრაფიულის და ეკონომიურის თვალსაზრისით უნდა სჭრიდნენ. ამიტომ თუ საერთო სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე ლაპარაკის ნებას მომცემთ სიტყვას გავაგრძელებ, თუ არა და იძულებული ვიქნები არ ვილაპარაკო“. თავმჯდომარემ კონსტანტინე აფხაზს სთხოვა, სიტყვა გაეგრძელებინა. ორატორმა კიდევ უფრო მწვავედ განაგრძო: „იმ ფორმას,რომლის შესახებაც აქ იყო ბაასი, მე გვერდი უნდა ავუხვიო, რადგან მათ შესახებ წარმოდგენილ მოხსენებებს, ჩემის რწმენით ის ნაკლი ჰქონდათ, რომ მათი წაკითხვა შეიძლებოდა როგორც საქართველოს ეროვნულ საბჭოში, თურქისტანსა თუ ციმბირში,მხოლოდ ადგილობრივ ენაზე. მოხსენებაში არ იყო დასაბუთებული ქართველი ერის რაიმე პერსონალური ან ინდივიდუალური თვისება. მოიყვანეს ფორმა და ამ ფორმაზე იყო აწონილ დაწონილი ყველაფერი“. კონსტანტინე აფხაზმა გადაჭრით გაილაშქრა ამერკავკასიის ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის წინააღმდეგ: “თვით ფედერაცია, როგორც სახელმწიფო წესწყობილება,მე ჩვენს ქვეყანაში ფიქციად მიმაჩნია. ფედერაციაში შესვლით უნდა ძლიერდებოდეს ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარე. ერთი მიბრძანეთ, რა ძალას შეიძენს ჩვენი მხდალი ჯარი, როდესაც გვერდით იყოლიებს სომხების მხდალ ჯარს. ან სათათრეთს, ან სომხეთს რა პოლიტიკური ძალა აქვთ, რომ მათ რაიმე შეგვძინონ.” კონსტანტინე აფხაზმა თავისი სიტყვა ასე დასრულა: “იქნებ ამ ომმა, ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება და თავისუფლად ამოვისუნთქოთ. ჩვენ მგონი ამ საზღვრებამდის მივაღწიეთ. ჩვენი პირი უნდა დასავლეთისაკენ იყოს მიქცეული და ჩვენ უნდა შევქმნათ უნიტარული სახელმწიფო. შემდეგ, თუ ამას მოვესწრებით, ვილაპარაკებ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვაწესრიგოთ საქმე მეზობლებთან”.

კონსტანტინე აფხაზის აზრი განავითარა მიხეილ მაჩაბელმა: „ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ. შეუძლებელია ჩვენი სუვერენულ უფლებათა შეზღუდვა”. თავისი სიტყვა ასე დასრულა **შალვა ქარუმიძემ:** “საბედნიეროდ ჩვენი ერისათვის უკვე არის ისეთი მომენტი, როდესაც საქართველოს შეუძლია სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადოს”. სოციალ-დემოკრატებს ძალზე მწვავედ შეუტია **გრიგოლ ვეშაპელმა:** „სოციალ-დემოკრატებს ჭვინიათ, რომ მათი ანალიზი საქართველოს საგარეო მდგომარეობისა, რომელსაც ემყარება „ამერკავკასიის რესპუბლიკის” გეგმა, ისე სწორეა, რომ მეფე ერეკლეც ამ მენშევიკურ გზას დადგებოდა, საფლავიდან რომ ამდგარიყო. ჩვენ კი გვგონია,რომ სოციალ-დემოკრატებს დღესაც ისე ცუდათ ესმით კავკასიის საგარეო საქმეები, როგორც ცუდათ ესმოდათ აქამდის ეს საქმეები, რუსეთის რესპუბლიკას რომ ლოცულობდნენ”. გრიგოლ ვეშაპელმა ქართველი სოციალ-დემოკრატების საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია ასე დაახასიათა: „სოციალ-დემოკრატების საგარეო პოლიტიკის მარცხის მიზეზი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო და არის რუსეთის ორიენტაციის პარტია — ამ მხრივ ის მართლაც მემკვიდრეა მეფე ერეკლეს პოლიტიკა, მაგრამ რუსეთის ორიენტაცია მანამდე იყო შესაძლო, სავალდებულო ქართული პოლიტიკისათვის, სანამ თვით რუსეთი ცოცხალი იყო. საქართველოში რუსული პოლიტიკა მაშინ გათავდა, როცა რუსების ჯარების უკანასკნელი ეშელონი მიმორდა ნავთლუღს”.

(გაგრძელება იქნება)
ვახტანგ გურული
საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, (1918)გვ. 138-144

„გურული სიმღერა ჩემთვის ყველაფერია“

— პირველი სიმღერა, რომელიც მამისაგან გაქვთ ნასწავლი.

—ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ერთ-ერთი პირველი სიმღერა იყო „ბერი აკვანს ეფარება“. ჩანაწერიც მაქვს ამისი: თვითონ ბანს მეუბნება, ჩემი და პირველს ამბობს და მე მეორეს.

— როგორ ხდებოდა სწავლება?

—მამაჩემი მეტყოდა: წაი ბიჭო ჩამოიყვანე გურიო (ჩემი ბიძაშვილი), ჯერ პირველ ხმას ასწავლიდა გურის, ხან კი ჩემ დას, მერე მე მასწავლიდა მეორეს და თვითონ ბანს ამბობდა. სწავლების დროს ერთმანეთის ხმებსაც ვიმახსოვრებდით, ისედაც ერთ ხმას რომ ვისწავლიდი, უკვე ვიცოდი მეორე ხმა როგორ მეთქვა.

— კრიმანჭულის სწავლა როდის დაგაწყებინათ?

—კრიმანჭული მისით მომივიდა, არავისგან არ მისწავლია. მიშა შავიშვილთან ანსამბლში სიმღერის დროს, მიშამ კონცერტის დღეს, რომ იტყვიან სცენაზე გამაგდო:—შენ უნდა თქვა კრიმანჭულიო. ასე ვიმღერე პირველად „შვიდკაცაში" კრიმანჭული.

მაგრამ მე არ ვთვლი, რომ კრიმანჭულის ხმა მაქვს.

— ის ორი მომღერალი გვითხარით, რომელთანაც ისურვებდით სიმღერას.

—დიდი სიამოვნებით ვიმღერებდი სამუელ ჩავლეშვილთან და ლადიმე

ბერძენიშვილთან, თუ არ გადამაგდებენ ხმიდან (იცინის)

— თქვენი საყვარელი სიმღერა?

—„ჩვენ მშვიდობა“ და „მადლობელი“, რომლითაც ვამთავრებთ ხოლმე კონცერტს.

— სცენაზე გასვლისას თუ ღელავდით?

—არა, არასდროს ვღელავდი, როცა გამართულად იცი სიმღერა, როცა გვერდში გური და მერაბ კალანდაძე გიდგას, რა უნდა იყოს ღელვის მიზეზი. ანზორ ერქომაიშვილთან მაქვს ნამღერი, ოთარ ბერძენიშვილთან და ლადიმე ბერძენიშვილთან და მეტი რაღაა საღელავი.

— რა გრძნობას იწვევს თქვენში გურული სიმღერა?

— გურული სიმღერა ჩემთვის არის სიცოცხლე, მამოძრავებელი ძალა, გურული სიმღერა ჩემთვის ყველაფერია.

—გურულის გარდა რომელი კუთხის სიმღერა მოგწონთ?

გურულ-აჭარული ერთია და კიდევ მომწონს სვანური და მეგრული, რომელიც კაი გაყოლა ვიცი.

— ადამიანი, რომელიც თქვენთვის მაგალითი იყო.

— არ ვიცნობდი სამუელ ჩავლეშვილს, მაგრამ ვიცნობდი ვარლამ სიმონიშვილს, ლადიმე

ბერძენიშვილს, ერქომაიშვილებს, რომლებიც ჩემთვის კორიფეები არიან.

— თქვენი სათქმელი ახალგაზრდა თაობას.

— 30 ქვეყანაში ვარ ნამყოფი, საოცარი სილამაზე მაქვს ნანახი, სიმღერის დაფასებაც მეტი იციან, მაგრამ საქართველოს გარდა ვერსად ვერ ვიცხოვრებდი. ახალგაზრდებს ვეტყოდი, რომ უყვარდეთ თავიანთი ქვეყანა, დასაქმდნენ კარგი საქმეებით, სიმღერა კი ხელს არაფერში არ შეუშლით. თუ რამეში გამოვდგები, აგერ ვარ და ვასწავლი. არ უნდა დაიკარგოს ეს სიმღერები.

ესაუბრა **მაია გელაშვილი**

ის ჩვენი ნაკრების მომავალია

სანდრო მამუკელაშვილმა -ს საზაფხულო ლიგაზე თავი წარმატებული თამაშით გამოიჩინა. ქართველმა კალათბურთელმა „მილუოკი ბაქსის" რიგებში 5 შეხვედრა გამართა (1 მოიგო, 4 დათმო).

აღსანიშნავია „მამუს" ბოლო, მე-5 შეხვედრა, სადაც „ირმები" „დენვერ ნაგეტსს" ეთამაშა. სანდრომ ამ შეხვედრაში გუნდს 20 ქულა, 7 მოხსნა და 1 დაფარება შესძინა.

ქართველი კალათბურთელის სწრაფმა და ჭკვიანურმა თამაშმა გულშემატკივრები მოხიბლა, „ბაქსის" ოფიციალურ გვერდზე კი შეხვდებით კომპლიმენტებს, როგორებიცაა:

არ ვიტყვი, რომ ის მომავალი იოკიჩია ან თუნდაც რაიმე მსგავსს, თუმცა ერთს გეტყვით, ძალიან კარგი იქნება, თუ ის სათადარიგო მოთამაშე გახდება და შეხვედრაში 15 წუთით დაიტვირთება".

გაიხსენეთ თქვენი თავი, მეგობრებო, რომლებიც სანდროს არჩევისას იცინოდით! ახლა ყველანი დარწმუნდით „მამუში".

მის გაბარიტებთან შედარებით ძალიან სწრაფი და მოქნილია".

სანდროს შეტევითი არსენალი მართლაც რომ დიდი აქვს, თუმცა დაცვის კუთხით უნდა მოუმატოს, ყოველივე ამის შემდეგ კი, დიდი ალბათობით, ჩვენებური მოქმედი ჩემპიონების რიგებში თავის სათამაშო დროს მიიღებს.

გიორგი ღვინიაშვილი

საჭადრაკო ტურნირზე „რომან კუტუბიძე –90“

რომან კუტუბიძეს — გურიის საჭადრაკო ოჯახის გამორჩეულ და წარმატებულ წარმომადგენელს, ოზურგეთის სოფლის მეურნეობის ტექნიკის სფეროს დამსახურებულ და ღვაწლმოსილ ინჟინერს, 15 აგვისტოს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

პანდემიიდან გამომდინარე, შეზღუდულ ფორმატში მოეწყო დაჯილდოების ცერემონიალი, რომელშიც თანაქალაქელებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ჩოხატაურელმა და ლანჩხუთელმა მოჭადრაკეებმა.

იუბილარს საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს გურიის ჭადრაკის ფედერაციამ და ოზურგეთის სპორტულ-გამანჯასაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებამ. ცერემონიალზე დაჯილდოვდა ასევე , მანამდე ჩატარებული „რომანი კუტუბიძე-90“- რეგიონალური საჭადრაკო ტურნირის პრიზიორები:

I ადგილი-**გიორგი გოგოლაური;** II – I V ადგილებზე გამოვიდნენ — **კარლო ცხომელიძე გივი, სიამაშვილი, ელგუჯა ურუშაძე..**

ოლიმპიადაზე საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო იყო - რას გვეუბნება სტატისტიკა

ოლიმპიურ თამაშებს თავისი სპეციფიკა აქვს - წარმატება რომ მოიპოვო, შენს სახელმწიფოში სპორტი ბევრი პროფილით და მიმართულებით უნდა იყოს განვითარებული. ამას დიდი ფინანსები, გამართული ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის რაოდენობა სჭირდება. ამიტომ, მედლების მხრივ პირველ ათეულში მხოლოდ ის ქვეყნებია, სადაც მოსახლეობა 50 მილიონი და მეტია..

პირველი ათეულის ყველა ქვეყანა მოწინავე ეკონომიკაა დიდი ფინანსური რესურსით. ამ მოცემულობაში საქართველო პატარა ქვეყნის კვალობაზე თავისი 4-მილიონიანი მოსახლეობით და მცირე ეკონომიკური რესურსებით ძალიან კარგად გამოვიდა. საქართველოს დელეგაციამ ორი ოქრო, ხუთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ანუ, საქართველოს 0.5 მილიონზე ერთი მედალი აქვს. სტატისტიკურად ეს უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე აშშ-ის, რომელსაც 330-მილიონიანი მოსახლეობის ფონზე 118 მედალი აქვს - ერთი მედალი ყოველ 2.8 მილიონზე. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ეს საქართველოზე თითქმის 6-ჯერ ცუდი შედეგია..

მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით ჩინეთი ყოველ 16 მილიონ მოსახლეზე ერთ მედალს იგებდა, იაპონია 2.1 მილიონ მოსახლეზე ერთ მედალს, ბრიტანეთი - ერთ მილიონ მოსახლეზე ერთ მედალს, ხოლო რუსეთი - ორ მილიონ კაცზე ერთ მედალს. ათეულის ქვეყნებს შორის საქართველოსნაირი შედეგი მხოლოდ ნიდერლანდებს აქვთ.

ამ სტატისტიკის მიხედვით, საუკეთესო ახალი ზელანდია იყო. 5-მილიონიანმა ქვეყანამ 20 მედალი აიღო, რაც ნიშნავს, რომ ყოველ 0.25 მილიონზე ზელანდიას ერთი მედალოსანი ჰყავს. საქართველოზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდათ მხოლოდ იამაიკას (0.3 მილიონზე ერთი მედალოსანი) და სლოვენიას (0.4 მილიონზე ერთი მედალოსანი).

გასათვალისწინებელია სხვა დეტალიც: ჩვენ საქართველოს სტატისტიკა 4 მილიონ მოსახლეზე დავთვალეთ, თუმცა ოკუპირებული ტერიტორიების და დიდი მიგრაციის გამო, საქართველოს რეალური მოსახლეობა დღეს ბევრად უფრო ნაკლებია. ამას დაამატეთ ტალანტის გადინების პროცესიც. ამ ოლიმპიადაზე სხვა ქვეყნების დროშით მოასპარეზე ქართველები ბევრი ვნახეთ. ცუდი ეკონომიკური რეალობის და კიდევ სხვადასხვა მიზეზების გამო საქართველო ტალანტს ყოველწლიურად კარგავს.

ზურაბ დათუნაშვილი, რომელიც სერბეთის სახელით ასპარეზობს, ბრინჯაოს პრიზიორი გახდა

ანუ, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე 8 ოლიმპიური მედალი საქართველოსთვის ძალიან კარგი შედეგია, ერთ-ერთი საუკეთესო მიმდინარე ოლიმპიურ თამაშებზე. საქართველოს შედეგი კიდევ უკეთესი ხდება, თუ ეკონომიკურ პარამეტრებსაც განვიხილავთ. ზემოთ ხსენებული ნიდერლანდები, ზელანდია, ნორვეგია, სლოვენია და ხორვატია სპორტში ბევრად უფრო მეტს ხარჯავს და ბევრად უფრო ძლიერი ეკონომიკა აქვთ. დახლოებით საქართველოს მსგავსი ეკონომიკური მაჩვენებლები მხოლოდ იამაიკას აქვს.

დასკვნა მხოლოდ ერთია: საქართველოს ძალიან სპორტული ქვეყანაა. მოსახლეობის შეზღუდული რაოდენობის, დიდი მიგრაციის და შეზღუდული ეკონომიკური რესურსების ფონზე 8 მედალით ოლიმპიური თამაშების დასრულება მნიშვნელოვანი მიღწევაა.



7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +17+24	წვიმა +18+25	მზე, ღრუბელი +19+26	მზე, ღრუბელი +18+27	მზე, ღრუბელი +18+28	წვიმა +18+26	ღრუბელი +16+26
23 აგვისტო ორშაბათი	24 აგვისტო სამშაბათი	25 აგვისტო ოთხშაბათი	26 აგვისტო ხუთშაბათი	27 აგვისტო პარასკევი	28 აგვისტო შაბათი	29 აგვისტო კვირა